

ქართულიდან ნასესხები ზმნები წოვათუშურ ენაში

ავტორი: დიანა კაკაშვილი

არნ. ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

საქართველო, თბილისი, პ. ინგოროყვას 8.

ელფოსტა: Diana.kakashvili783@hum.tsu.edu.ge

ანოტაცია

ქართული ენიდან ნასესხები ზმნური ფორმები წოვათუშურში საკმაოდ ბევრია და ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ნასესხებ ფორმათა ფონეტიკური და მორფოსინტაქსური ადაპტაციის საშუალებები და სტრატეგიები.

ქართულიდან წოვათუშურში ზმნების სესხება პირდაპირ, ზმნური ფორმით არ ხდება. წოვათუშური სესხულობს მხოლოდ ნაზმნარ სახელს, მასდარს, და აფორმებს მას საკუთარი **დ-არ** და **დ-ალ-არ** მეშველი ზმნებით. პირველი მათგანი გარდამავალი შინაარსის ზმნებს აწარმოებს, მეორე კი გარდაუვლს, როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ფუძეებზე დართვით. **დ-არ** და **დ-ალ-არ** ელემენტებს, ამ შემთხვევაში აქვთ მაზმნავებელი ფუნქცია, ისინი დაირთავენ ყველა ფლექსიურ ელემენტს, ძირითადი შინაარსი კი სახელადი ნაწილითაა გამოხატული. ამ სახით ხდება ქართული მასდარების ზმნად მარკირება წოვათუშურში.

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ნასესხები ზმნა წოვათუშურში კომპოზიციური წარმოებისაა: ნასესხები მასდარისა და საკუთარი მაზმნავებელი ელემენტების – მეშველი ზმნების გამოყენებით წარმოიქმნება რთული ზმნა.

გარდა ფონეტიკურისა, ხდება ნასესხები მასდარების მორფო-სინტაქსური ადაპტაცია და მათი გაზმნავება ზემოთ ნახსენები მეშველი ზმნების საშუალებით.

ქართულიდან ნასესხები ფორმების წოვათუშურ ენაში ადაპტაცია მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ა) მიმღები ენის ფონემატურ სტრუქტურასთან მისადაგებას; ბ) ნასესხები სიტყვის გაზმნავებას; გ) მისი ვალენტობის განსაზღვრას: **დ-არ** ყოველთვის გარდამავალ ზმნას აწარმოებს, **დ-ალ-არ** კი გარდაუვალს. ამასთანავე, ზმნად მარკირება და ფლექსიური კლასის განსაზღვრა ერთი და იმავე მაწარმოებლებით ხდება.

საკვანძო სიტყვები: წოვათუშური ენა, ზმნური ნასესხობები, ნასესხობების ადაპტაცია

შესავალი

ქართული ენიდან ნასესხები ზმნური ფორმები წოვათუშურში საკმაოდ ბევრია და ლექსიკური ფონდის მნიშვნელოვან ნაწილს შეადგენს. წინამდებარე სტატიაში გაანალიზებულია ნასესხებ ფორმათა ფონეტიკური და მორფოსინტაქსური ადაპტაციის საშუალებები და სტრატეგიები. ქვემოთ მოცემული ყველა მაგალითი მოყვანილია დავით და ნიკო ქადაგიძეების „წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონიდან“ (ქადაგიძე, ქადაგიძე 1984).

წოვათუშურად დღესდღეობით დაახლოებით 500 ადამიანი ლაპარაკობს საქართველოში, ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ ზემო ალვანში (Wichers Schreur 2021: 15). ამ ენაზე მოლაპარაკე ყველა ადამიანი ბილინგვია და მშობლიური წოვათუშურის გარდა, ქართულადაც საუბრობს. იგი ნახურ ენათა ჯგუფს განეკუთვნება, მაგრამ საუკუნეების განმავლობაში თანაარსებობდა ქართულთან ერთ პოლიტიკურ, კულტურულ და გეოგრაფიულ სივრცეში, რამაც განაპირობა აქტიური ინტერფერენციული პროცესები. მეცხრამეტე საუკუნის დასაწყისში წოვათუშებმა მთიდან ბარში ჩამოსახლება დაიწყეს. აქედან მოყოლებული ეტაპობრივად გაიზარდა ქართული ენის გავლენა წოვათუშურზე, განსაკუთრებით მძლავრი სახე მან მეოცე საუკუნიდან მიიღო, როდესაც გაიხსნა საგანმანათლებლო სკოლები, გაჩნდა ტელევიზია და ჟურნალ-გაზეთები, რომლებიც ქართულ ენაზე ფუნქციონირებდა, წოვათუშურს კი მხოლოდ ოჯახში და თემის წევრებს შორის კომუნიკაციის ფუნქცია ჰქონდა. ენის ტრანსმისია მნიშვნელოვნად შეფერხდა და შესაბამისად, მოლაპარაკეთა რაოდენობამაც თანდათან იკლო. ამ პროცესს ხელი შეუწყო შერეულმა ქორწინებებმა და ურბანიზაციის მაღალმა ტემპმაც.

ძირითადი ნაწილი

ქართულის გავლენა წოვათუშურზე დღესდღეობით ძალიან ძლიერია და მოიცავს ენობრივი სისტემის ყველა დონეს. ეს გამოხატულია დიდი რაოდენობის ლექსიკურ ნასესხობებშიც, ვინაიდან, ლექსიკური ერთეულები, ყველაზე ადვილად ემორჩილება სესხებას. სხვა მეტყველების ნაწილებთან შედარებით კი, ყველაზე ხშირად არსებითი სახელების სესხება ხდება. დავით და ნიკო ქადაგიძეების ლექსიკონში მოცემული 1819 არსებითი სახელიდან 1259 (60%) ნასესხებია ქართულიდან ან რუსულიდან (Schreur 2021).

ნასესხები სახელებისაგან განსხვავებით, რომელთა ადაპტაცია წოვათუშურში, ძირითად შემთხვევებში, მხოლოდ ფონეტიკურ ცვლილებებს გულისხმობს, ზმნების ადაპტაცია უფრო რთული და მრავალმხრივი პროცესია, მოიცავს ფონეტიკურ, მორფოლოგიურ და ზოგჯერ სემანტიკურ გარდაქმნასაც.

ქართულიდან წოვათუშურში ზმნების სესხება პირდაპირ, ზმნური ფორმით არ ხდება. წოვათუშური სესხულობს მხოლოდ ნაზმნარ სახელს, მასდარს, და აფორმებს მას საკუთარი **დ-არ** და **დ-ალ-არ** მეშველი ზმნებით. პირველი მათგანი გარდამავალი შინაარსის ზმნებს აწარმოებს, მეორე კი გარდაუვლს, როგორც საკუთარ, ისე ნასესხებ ფუძეებზე დართვით. **დ-არ** და **დ-ალ-არ** ელემენტებს, ამ შემთხვევაში აქვთ მაზმნავებელი ფუნქცია, ისინი დაირთავენ ყველა ფლექსიურ ელემენტს, ძირითადი შინაარსი კი სახელადი ნაწილითაა გამოხატული. ამ სახით ხდება ქართული მასდარების ზმნად მარკირება წოვათუშურში. საინტერესოა, რომ ქართულში გარდაუვალი შინაარსის მქონე ზოგი საშუალო გვარის ზმნა წოვათუშურში გარდამავლობის **დ-არ** მაწარმოებლითაა გაფორმებული, მაგალითად, **მუშებად-დ-არ** 'მუშაობა (მუშაობს)', **ბარდოლ-დ-არ** 'ბარდნა (ბარდნის)', **ჟივჟივ-დ-არ** 'ჟივჟივი (ჟივჟივებს)', **ჩხარჩხარ-დ-არ** 'ჩხრიალები (ჩხრიალებს)' და სხვ. რადგან ქართულის მასდარები გარდამავლობა-გარდაუვლობის მიხედვით მარკირებული არ არის, წოვათუშურში ისინი ხშირად წყვილადაა წარმოდგენილი, როგორც **დ-არ**, ისე **დ-ალ-არ** ფორმანტებით, ანუ გარდამავლობის განსაზღვრა საკუთარი მაწარმოებლებით ხდება, მაგალითად, **გაფანტოდ-დ-ალ-არ** 'გაფანტვა (გაიფანტება)', **გაფანტოდ-დ-არ** 'გაფანტვა (გაფანტავს)' და სხვ.

დ-არ ზმნას დამოუკიდებელი შინაარსიც გააჩნია და 'კეთებას' ნიშნავს, მაგრამ მოცემულ კონსტრუქციაში მისი შინაარსი დიდწილად აბსტრაქტირებულია. დრო-კილოთა უმეტეს ფორმებში ის მხოლოდ კლასის ნიშნის სახით რეალიზდება, აორისტში კი, კლასის ნიშანთან ერთად ი ხმოვანიც ჩნდება. **დ-ალ-არ** ელემენტის ეტიმოლოგია ნათელი არ არის

და დამოუკიდებელ ზმნად იგი დღესდღეობით არ გამოიყენება, ამასთანავე, აწმყოსა და მისგან ნაწარმოებ უსრულ ფორმებში იგი კარგავს კლასის ნიშანს და -ლა სუფიქსის სახეს იღებს (ჰაუკი, ჰარისი 2019 : 26).

ამგვარად, შეიძლება ითქვას, რომ ყველა ნასესხები ზმნა წოვათუშურში კომპოზიტიური წარმოებისაა: ნასესხები მასდარისა და საკუთარი მაზმნავებელი ელემენტების – მეშველი ზმნების გამოყენებით წარმოიქმნება რთული ზმნა. მათი აბსოლუტური უმრავლესობის სტრუქტურა ერთგვაროვანია. წოვათუშურში ნასესხები ფორმების ადაპტირების მხოლოდ ერთი, ზემოთ ნახსენები სტრატეგია არსებობს.

არის ერთეული შემთხვევები, როდესაც წოვათუშურში ქართულიდან ნასესხები არსებითი სახელებისა და **დ-არ**, **დ-ალ-არ** მეშველი ზმნების საშუალებით წარმოიქმნება ასევე რთული, კომპოზიტი ზმნა. ეს ხერხი ნაკლებად პროდუქტიულია და ჩვენი დაკვირვების საგანსაც არ წარმოადგენს.

ქართული და წოვათუშური ენების ფონოლოგიური სისტემა ერთმანეთის მსგავსია, მაგრამ განსხვავდება სიტყვათა ფუძისა და თანხმოვანთკომპლექსების სტრუქტურა, ამიტომ წოვათუშური ენის ფონეტიკურ სისტემასთან ადაპტირებისთვის ნასესხებ ნაზმნარ სახელში თავს იჩენს გარკვეული ფონეტიკური ცვლილებები: რედუქცია, მეტათეზისი, ხმოვნის ჩამოცილება და სხვ. წოვათუშურისათვის დამახასიათებელია მრავალმარცვლიანობის თავიდან აცილების ტენდენცია (გაგუა 1972 : 24). ამასთანავე, გამონაკლისი შემთხვევების გარდა, მისთვის უცხოა თანხმოვანთა სამწევრა მიმდევრობები, ამიტომ ხდება სუპერაცია, ქართულიდან ნასესხები ყველა მრავალმარცვლიანი სიტყვა შეძლებისდაგვარად მარტივდება და ერგება წოვათუშურ ფონეტიკურ სისტემას.

გარდა ფონეტიკურისა, ხდება ნასესხები მასდარების მორფო-სინტაქსური ადაპტაცია და მათი გაზმნავება ზემოთ ნახსენები მეშველი ზმნების საშუალებით.

ქართულ ენაში მასდარის ყველაზე პროდუქტიული მაწარმოებელია -ა სუფიქსი. ის ზოგჯერ პირდაპირ დაერთვის ზმნურ ფუძეს, ზოგჯერ კი ესა თუ ის თემის ნიშანი უძღვის წინ (გოგოლაშვილი და სხვ. 2011 : 263). საწყისს ასევე აწარმოებს -**ილ/-ულ**, **სი - ილ**, **სი - ულ** აფიქსები.

როგორც უკვე აღინიშნა, წოვათუშური ქართულისაგან მასდარის ფორმებს სესხულობს, უმთავრესად კი -ა სუფიქსით ნაწარმოებ მასდარებს, ამგვარად, ყველა მათგანი ხმოვანზე ბოლოვდება. სხვა აფიქსებით ნაწარმოები ნაზმნარი სახელების სესხება, შეიძლება ითქვას, გამონაკლისს წარმოადგენს.

სესხებისას, რიგ შემთხვევებში, ძირითადად მრავალმარცვლიან ფუძეებს, ჩამოცილებული აქვთ თემის ნიშანი და მასთან ერთად საწყისის მაწარმოებელიც, მაგრამ საინტერესოა ის ფაქტი, რომ ყველა მათგანში **დ-არ** და **დ-ალ-არ** მაწარმოებლების წინ თავს იჩენს -**დ** თანხმოვანი, მაგალითად, წოვათუშ. **აკლება-დ-დ-არ** ← ქართ. **აკლება**, წოვათუშ. **აყრა-დ-დ-არ** ← ქართ. **აყრა**, წოვათუშ. **ბრექა-დ-ალ-არ** ← ქართ. **ბრექა** და სხვ.

ჩვენ არ შეგვხვედრია წოვათუშურში ქართულიდან ნასესხები ისეთი ზმნები, რომლებიც ზემოთ აღწერილ წესს არ ემორჩილება და როგორც მარტივი ზმნური ფუძე, ისე გამოიყენება. ზმნების სახელის სახით სესხება საზოგადო მოვლენაა და არაერთ ენაში დასტურდება (ვიხმანი 2008 : 1). აგრეთვე, ყველაზე გავრცელებული ფორმაა მეშველ ზმნად 'კეთება' ზმნის გამოყენება, თუმცა სხვა ზმნებიც იხმარება (ვიხმანი 2008 : 104). საინტერესოა, რომ წოვათუშური იყენებს წყარო ენის საშუალებებს ზმნური ფუძის სახელად ქცევისთვის ანუ მზა მასდარულ ფორმას სესხულობს.

ნასესხები უთემისნიშნო საწყისები თითქმის არანაირ ფონეტიკურ ცვლილებას არ განიცდიან, მხოლოდ მაზმნავებელ ელემენტებს დაირთავენ და ფორმირდებიან ზმნად. შესაბამისი მაგალითები მოყვანილია პირველ ცხრილში. ისევე როგორც ქართულში, ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისაა, უსზმნისწინო კი უსრულის, ამიტომ ზმნისწინი ფრჩხილებშია მოცემული.

ცხრილი №1

წოვათუშური	ქართული	მორფონოლოგიური ცვლილება
(მო)ფხეკა-დ-დ-არ	(მო)ფხეკ-ა	–
(და)წერა-დ-დ-არ	(და)წერ-ა	–
ჟლეტა-დ-დ-არ	ჟლეტ-ა	–
რბევა-დ-დ-არ	რბევ-ა	–

როგორც უკვე აღინიშნა, თემის ნიშანთა უმრავლესობა ნაწილობრივ ან სრულად იკარგება. ჩვეულებისამებრ, **-ებ** თემის ნიშანი კარგავს ხმოვნით ნაწილს, იშვიათად სრულადაც უჩინარდება. **-ავ** თემის ნიშნისეული **-ვ** კი, რომელსაც საწყისის **-ა** სუფიქსი მოსდევს, წოვათუშურში **-ო**-ს იძლევა, რადგან ქართული **ვა** მიმდევრობა წოვათუშურში თითქმის ყოველთვის **ო**-ს სახით რეალიზდება.

ცხრილი №2

წოვათუშური	ქართული	თარგმანი
აბარგო-დ-დ-ალ-არ	აბარგ-ებ-ა	აბარგება (აიბარგება)
აგრილბა-დ-დ-ალ-არ	აგრილ-ებ-ა	აგრილება (აგრილდება)
ქირბა-დ-დ-არ	დაქირავ-ებ-ა	დაქირავება (იქირავებს)
ბარო-დ-არ	ბარ-ვ-ა	ბარვა (ბარავს)
გამართო-დ-დ-არ	გამართ-ვ-ა	გამართვა (მართავს)
გაფანტო-დ-დ-არ	გაფანტ-ვ-ა	გაფანტვა (ფანტავს)
დამორა-დ-დ-არ	დამორ-ვ-ა	დამორვა (მორავს)

ქართულ ენაში ზმნისწინს არაერთი ფუნქცია აქვს: აღნიშნავს მიმართულებას, ორიენტაციას, აწარმოებს მომავალი დროის ფორმებს, ცვლის სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას, გამოხატავს სრულ ასპექტს და სხვ. (გოგოლაშვილი და სხვ. 2011 : 308). ქართული ენიდან ნასესხებ ფორმებში ზმნისწინს ხშირ შემთხვევაში შენარჩუნებული აქვს ასპექტის გარჩევის ფუნქცია: ზმნისწინიანი ფორმები სრული ასპექტისაა, უზმნისწინო კი უსრული, მაგალითად, **გაჟლეტადარ** ‘გაჟლეტა’ სრული ასპექტის ფორმაა, **ჟლეტადდარ** უსრული, მსგავსივეა **გაბედლოდარ** და **ბედოდდარ** ‘გაბედვა’ და მრავალი სხვ. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ზოგიერთი ზმნური ფორმა, რომელიც ქართულში ასპექტს განარჩევს წოვათუშურში უასპექტოდაა გადააზრებული და ზმნისწინიც დაკარგულია. თუ ზმნისწინი ცვლის სიტყვის ლექსიკურ მნიშვნელობას, ის ყოველთვის შენარჩუნდება, ისევე, როგორც ასპექტის გარჩევისას, მაგრამ სხვა შემთხვევებში სრულად იკარგება.

ცხრილში მოცემულ ქართულ მაგალითებში ზმნისწინი გამოყოფილია დეფისით.

ცხრილი №3

წოვათუშური	ქართული	თარგმანი
თავზება-დ-დ-არ	შე-თავაზება	შეთავაზება (სთავაზობს)
ნელბა-დ-დ-არ	მო-ნელეზა	მონელეზა (ინელეზს)
ოცბა-დ-დ-ალ-არ	გა-ოცეზა	გაოცეზა, გაკვირვეზა (უკვირს)
(და)ქლიბა-დ-დ-არ	გა-ქლიბეზა	გაქლიბეზა (გაქლიბეზს)
(და)წერა-დ-დ-არ	და-წერა	დაწერა (დაწერს)
გამოფულრა-დ-დ-არ	გამო-ფულუროეზა	გამოფულუროეზა, ამოღრუტნა (ამოღრუტნის)
გამოცხადბა-დ-დ-ალარ	გამო-ცხადეზა	გამოცხადეზა (გამოცხადეზა)
გამოცხადბა-დ-დ-არ		გამოცხადეზა (გამოაცხადეზს)
გარიდბა-დ-დ-ალარ	გა-რიდეზა	გარიდეზა (გაარიდეზს)
გარიდბა-დ-დ-არ		გარიდეზა (გაერიდეზა)
დატევა-დ-დ-არ	და-ტევა	დატევა (დაუტევეს)
მოცდენა-დ-დ-არ,	მო-ცდენა	მოცდენა (მოაცდენს)
მოცდენა-დ-დ-ალ-არ		მოცდენა (მოცდეზა)

ზემთ წარმოდგენილი ემპირიული მასალის საფუძველზე თავისთავად ჩნდება კითხვა ნასესხები ფუძის ბოლოში წარმოდგენილი -დ თანხმოვნის რაობის შესახებ, რომელიც ერთი შეხედვით, უფუნქციო ჩანს. სამეცნიერო ლიტერატურაში მის შესახებ ვრცელი მსჯელობა არსად გვხვდება, მაგრამ გამოთქმულია ორი თვალსაზრისი: 1) ის

ქართული ენის ვითარებითი ბრუნვის ნიშანი უნდა იყოს (გაგუა, ჰოლისკი 1994 : 185) და 2) შესაძლოა, გაქვავებულ კლასის ნიშანს წარმოადგენდეს. ამ უკანასკნელ ვარაუდს შეკითხვის სახით სვამს რუსუდან გაგუა თავის წერილში „სესხების ზოგადი წესები ბაცბურში“, თუმცა მსჯელობა და არგუმენტები ამ საკითხის შესახებ არ არის მოცემული, იგივე შეიძლება ითქვას პირველი ვარაუდის შესახებ. ორივე მოსაზრებას ახლავს წინააღმდეგობები, აჩენს შეკითხვებს და საჭიროებს მეტ დასაბუთებას. რა უნდა იყოს ვითარებით ბრუნვის ან გრამატიკული კლასის ნიშნის ფუნქცია აღნიშნულ შემთხვევაში? როგორც აღინიშნა, ყველა ნასესხები ძირ-ფუძე -დ ელემენტის გარდა, ფორმდება **დ-არ** და **დ-ალ-არ** მორფემებითაც. ორივე მათგანი კლასნიშნისანი მეშველი ზმნაა. კლასში ორმაგი შეთანხმება წოვათუშურისთვის ბუნებრივია იმ შემთხვევებში, როდესაც მარტივი ზმნური ფუძე კლასნიშნისანია და მას დაერთვის ზემოთ ნახსენები მეშველი ზმნები, მაგრამ ბუნდოვანია, რა ფუნქცია უნდა ჰქონოდა მეორე, თანაც გაქვავებულ, უცვლელ კლასის ნიშანს მოცემულ ვითარებაში. როგორც წესი, წოვათუშურ ზმნაში ქვავდება აბსოლუტივში მდგარი აქტანტის კლასის ნიშანი, რომელიც შეიძლება იყოს არა მარტო -დ, არამედ, -ბ, -ა ან -ვ.

ვითარებით ბრუნვას თანამედროვე ქართულში გარდაქცევითობის გამოხატვისა და ზმნიზედური ფუნქცია აქვს. ვითარებით ბრუნვაში მდგარი საწყისი და მეშველი ზმნა ძველ ქართულში ქმნიდა გარემოებით-მასდარულ და დამატებით-მასდარულ კონსტრუქციებს, აგრეთვე გამოხატავდა მომავალი დროის ფორმებს (უკლება 2005 : 19), **იწყო ჯოცად, მითხრა მიტანად** და სხვ., მაგრამ წოვათუშურში ეს ფუნქციები არ ჩანს. თანაც, ამგვარი კონსტრუქციები ახალ ქართულში აღარ გვხვდება, არამ მარტიროსოვის თანახმად, ქართულში ვითარებით ბრუნვაში მდგარი მასდარი ვეღარ განვითარდა, X საუკუნიდან მოყოლებული იგი გამოდის ხმარებიდან, ხოლო მიზნის გარემოების ფუნქციით XII-XIII საუკუნებმდე შემორჩა სალიტერატურო ქართულს (უკლება 2005 : 6). შოთა ძიძიგური აღნიშნავს, რომ ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარი შემოინახა მხოლოდ ცოცხალმა მეტყველებამ, მთის კილოებმა, ხევსურულმა და თუშურმა (უკლება 2005: 12). წოვათუშური ამჟამადაც ზემოთ აღწერილი ფორმით სესხულობს ზმნებს ქართულიდან.

გარდა იმისა, რომ წოვათუშურში არ დასტურდება ვითარებით ბრუნვაში დასმული მასდარის ზემოთ აღნიშნული, ქართულის მსგავსი ფუნქციები, იდენტური წარმოების იმ რთულ ზმნებში, რომელშიც ნასესხების ნაცვლად საკუთარი არსებითი ან სხვა სახელია გამოყენებული (მათ შორის მასდარი), არ არსებობს ვითარებითი ბრუნვის გამოყენების წესი. ჩვეულებისამებრ, მეშველი ზმნები, წმინდა ფუძეს დაერთვიან, მაგ., **წეგ-ეწ** 'წითელი', **წეგ-დ-არ** 'გაწითლება', **წეგ-დ-ალ-არ** 'გაწითლება (წითლდება)', **მა-არ** 'დაღევა', **მა-დ-არ** 'დაღევილება' და სხვ. სახელადი ნაწილი შეიძლება იდგეს აბსოლუტივში ან ირიბ ბრუნვათაგან ერთ-ერთში, მათ შორის ვითარებითში, პრედიკატული სინტაგმისგან მომდინარე კომპოზიტებში, სადაც იგი ზმნური ნაწილის დამატების ფუნქციას ასრულებს. ქართულში ვითარებით ბრუნვაში მდგარი საწყისი შემასმენლის დამატებას წარმოადგენს, უმთავრესად პირდაპირ დამატებას, ზემოთ მოყვანილ მაგალითებში ეს ფუნქცია არ ჩანს, ქართულიდან ნასესხები მასდარები, არ წარმოადგენს წოვათუშური მეშველი ზმნების დამატებას.

როსტომ ფარეულიძე განიხილავს ქართულ ნასესხობებს ქისტურ დიალექტში და მიუთითებს, რომ აქაც მოქმედებს წოვათუშურის მსგავსი სტარატეგია, -დ სუფიქსით გაფორმებული მასდარი. ავტორი სვამს შეკითხვას ამ სუფიქსის წარმომავლობის შესახებ, მაგრამ მსჯელობა ამ საკითხზე არ არის მოცემული (ფარეულიძე 2010 : 82).

მეშველ ზმნაში, რომელიც მასდარის მომდევნო პოზიციასა წარმოადგენილი, ნომინატივში მდგარი აქტანტის, იშვიათად ერგატივის, კლასის ნიშანი აისახება. როდესაც მოცემული აქტანტი **დ** კლასს განეკუთვნება, შესაბამისად, მორფემათა მიჯნაზე ორი **დ** იყრის თავს, რაც წოვათუშურისთვის არაბუნებრივია, ამიტომ ერთ-ერთი მათგანი იკარგება. თუ სახელი სხვა გრამატიკულ კლასს განეკუთვნება, მაშინ არავითარი შეზღუდვა არ

მოქმედებს. როდესაც რთულ ზმნაში ორიდან რჩება მხოლოდ ერთი **დ**, ჩნდება კითხვა, როგორ უნდა კვალიფიცირდეს ის, როგორც მეშველი ზმნისეული კლასის ნიშანი თუ როგორც მასდარის სუფიქსად წარმოდგენილი ოდენობა? ამა თუ იმ ავტორის მიერ ის ზოგჯერ მეშველი ზმნის ნაწილადაა განაწილებული, ზოგჯერ კი ქართული მასდარის ნაწილად. ვფიქრობთ, იგი მეშველი ზმნის პრეფიქსი უნდა იყოს, რადგან მას მაზმნავებელი ფუნქცია აქვს და უმეტეს წილად სწორედ მხოლოდ კლასის ნიშნის სახით რეალიზდება და როგორც ზემოთ ვიხილეთ, მის გარეშე ქართული საწყისი ზმნად ვერ მარკირდება წოვათუშურში.

რადგან **დ-ალ-არ** ზმნით ნაწარმოებ ფორმებში კლასის ნიშანი, საზოგადოდ, არასტაბილურია და დრო-კილოთა გარკვეულ ფორმებში იკარგება, მაგალითად მოვიყვანთ **დ-არ-ით** ნაწარმოებ გარდამავალი ზმნის ფორმებს:

(1) ათქვეფა-დ-დ-არ ‘[ამო]თქვეფა (ამოთქვეფეს)’

ფ^არ -ა -ვ შურ ათქვეფა -დ -მ -ინორ.

ძალდი-OBL-ERG რძე.J ათქვეფა-დ-CL.J -EVID

‘ძალღს რძე ამოუთქვეფავს’.

მოცემულ ზმნაში -მ რძის კლასის ნიშანია.

(2) აკლება-დ-დ-არ ‘აკლება’

მასთხოვ-ა -ს დემნ^ა (დ^ან^ა) ფ^აე აკლება-დ-ბ -იმ -ე^ა

მტერი-OBL-ERG მთელი სოფელი.B აკლება-დ-CL.B-TR-AOR

‘მტერმა მთელი სოფელი აიკლო’.

პირდაპირი დამატება, სოფელი, რომელიც ბ კლასს განეკუთვნება -დ სუფიქსის შემდგომაა წარმოდგენილი აღნიშნულ ზმნაში.

ქვემოთ მოცემულ მაგალითებში კი მხოლოდ ერთი **დ** გვაქვს, რადგან ორივე მათგანში პირდაპირი დამატება **დ** კლასს განეკუთვნება.

(3) დაწერა-დ-დ-არ ‘დაწერა’

ას ჟაგნ^ა დაწერა-დ -ინ -ას

1SG.ERG წერილი.D დაწერა-CL.D-AOR-1SG.ERG

‘მე წერილი (წიგნი) დავწერე’.

(4) ბეჭდა-დ-დ-არ ‘ბეჭდვა (ბეჭდავს)’

ოჯუს ჟაგნუ -მ ბეჭდა-დ -ო

3SG.ERG წიგნი.D-PL ბეჭდვა-CL.D-PRS

‘ის წიგნებს ბეჭდავს’.

რაც შეეხება თავად **დ-ს** ფუნქციას, შესაძლოა ის ფონეტიკურ ნიადაგზე იყოს წარმოშობილი. ვინაიდან წოვათუშურისათვის დამახასიათებელია მხოლოდ თანხმოვანზე დაბოლოებული ზმნური ფუძეები - (C)V(C)C სტრუქტურის, ხმოვანზე დაბოლოებული ზმნური ძირები ძალზე ცოტაა, დაახლოებით ათამდე. ამაზე ჯერ კიდევ შიფნერი მიუთითებს და ჩამოთვლის შესაბამის ერთეულებს (შიფნერი 1856 : 51), ქართულის მასდარები კი ხმოვანზე ბოლოვდება, -დ თანხმოვნის მეშვეობით ხდება მასდარის

თანხმოვანფუმიანად გადაქცევა, მაგალითად, **ახუნძად-დ-ალარ** ← **ქართ. ახუნძვლა** (ახუნძლება), **გამართოდ-დ-არ** ← **ქართ. გამართვა** და სხვ.

როდესაც წოვათუშური თანხმოვანფუმიან სახელს სესხულობს და მეშველ ზმნას ურთავს, მაშინ -დ არსად ჩანს, იგი 'ვითარებითი ბრუნვაში' აღარ დგას, მაგალითად, **მორს-დ-არ** 'მოსრვა', **ლონარ-დ-არ** 'გალონივრება', **ზადაგ-დ-არ** 'მოზადაგება', **კავკავ-დ-არ** 'კავკავი', **მარხ-დ-არ** 'მარხვა' და სხვ.

დასკვნა

ამგვარად, ქართულიდან ნასესხები ფორმების წოვათუშურ ენაში ადაპტაცია მოიცავს რამდენიმე ეტაპს: ა) მიმღები ენის ფონემატურ სტრუქტურასთან მისადაგებას; ბ) ნასესხები სიტყვის გაზმნავებას; გ) მისი ვალენტობის განსაზღვრას: **დ-არ** ყოველთვის გარდამავალ ზმნას აწარმოებს, **დ-ალ-არ** კი გარდაუვალს. ამასთანავე, ზმნად მარკირება და ფლექსიური კლასის განსაზღვრა ერთი და იმავე მაწარმოებლებით ხდება.

ლიტერატურა

გაგუა 1972 : რუსუდან გაგუა, სესხების ზოგადი წესები ბაცბურში, ენათმეცნიერების ინსტიტუტის XXVIII სამეცნიერო სესია, თეზისები, გვ. 24-26, თბილისი, 1972.

გოგოლაშვილი, არაბული, სუხიშვილი, მანჯგალაძე, ჭუმბურიძე, ჯორბენაძე 2011: გიორგი გოგოლაშვილი, ავთანდილ არაბული, მურმან სუხიშვილი, მარიამ მანჯგალაძე, ნინო, ჭუმბურიძე, ნინო ჯორბენაძე, თანამედროვე ქართული ენის მორფოლოგია, სალიტერატურო ენა, თბილისი, 2011.

ვიხმანი 2008: სორენ ვიხმანი, Søren Wichman, ნასესხები ზმნები ტიპოლოგიური პერსპექტივიდან: ენათა კონტაქტის ასპექტები, 2008.

უკლება 2001: თამარ უკლება, ინფინიტიური კონსტრუქცია საშუალო ქართულში, საკანდიდატო დისერტაცია, თბილისი, 2001.

ფარეულიძე 2010 : როსტომ ფარეულიძე, ჩეჩნური ენის ქისტური დიალექტი, თბილისი, 2010

ქადაგიძე, ქადაგიძე 1984 : დავით ქადაგიძე, ნიკო ქადაგიძე, წოვათუშურ-ქართულ-რუსული ლექსიკონი, თბილისი, გამომცემლობა „მეცნიერება“, 1984.

შიფნერი 1856 : ანტონ შიფნერი, Versuch über die Thusch-Sprache oder die khistische Mundart in Thuschetien von Anton Schiefner, 1856.

ჭრელაშვილი 2002: კოტე ჭრელაშვილი, წოვა-თუშური ენა, თბილისი, თბილისის უნივერსიტეტის გამომცემლობა, 2002.

ჰაუკი, ჰარისი 2019: ბრინ ჰაუკი, ალისა ჰარისი, ბაცბური ენის მოკლე გრამატიკა, მზადდება გამოსაცემად.

ჰოლისკი, გაგუა 1994 : დი ენ ჰოლისკი, რუსუდან გაგუა, D. A. Holisky-R. Gagua, Tsova-Tush (Batsbi), The Indigenous Languages of the Caucasus, Volume 4, Delmar, Niwiork, 1994.